MES 8 22 0001058186

13/09/2022

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 30 აგვისტოს.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის -,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი - საბჭოს წევრი;
თამაზ ბახტაძე - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითრების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ,,ინტერნეტი განვითარებისთვის'' პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზედენტი - საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი:
თამარ ალადაშვილი - დირექტორი,
ეკატერინე ბენდელიანი - დირექტორის მოადგილე,
ნათია სარალიძე - განათლების პროექტების სამსახურის უფროსი,
ნინო ტაბატაძე - განათლების პროექტების სამსახურის მთავარი სპეციალისტი,
ნათია იორდანიშვილი - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე, ალვერდ ჩანქსელიანი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი,
ლევან ბურდილაძე - სს რუსთავის აზოტის დირექტორის პირველი მოადგილე,
კახაბერ მდივანი - კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) მთავარი ტექნიკური მრჩეველი.

სსიპ კოლეჯი "იბერია":
ირაკლი ავალიანი - დირექტორი,
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოადგილე,
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მენეჯერი,
ლალი ღამბარაშვილი - ხარისხის მართვის სპეციალისტი,
ნინო დარასელია - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,
ბერიკა უშვერიძე - მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი,.
ედიშერ მარგველაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი,
სოფიო ხუციშვილი - პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი”:
ფრიდონ ბუაძე - დირექტორი,
დარეჯან ჭელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,
არჩილ ელბაქიძე - ა(ა)იპ ,,ფონდი აფხაზინტერკონტი"-ს დირექტორი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:
კობა სილაგაძე,
დავით კუპატაძე,
ნიკა ჯაფიაშვილი,

მზია ბაკურიძე,
იოლონ გობეჯიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 13:00 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ითხოვა ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის /01405/ ,, ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის /01423/ ,,გარემოსდაცვითი მმართველი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის /01424/ ,,სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ კოლეჯი "იბერიას" /01443/ ,,ფარმაცევტის თანაშემწე“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის'' /01414/ ,,სასოფლო სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი (T კატეგორია)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სამჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. ასევე დაადგინეს, რომ შუამდგომლობა ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ არ არსებობდა.

1. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის /01405/ ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია" პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

2. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის /01423/ ,,გარემოსდაცვითი მმართველი" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

3. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის /01424/ ,,სასოფლო-სამეურნეო კლიმატგონივრული დაგეგმვა" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სამივე პროგრამა ერთად წარედგინა და ყურადღება გაემახვილებინა მნიშვნელოვან საკითხებზე.
პროგრამა წარმოადგინა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორმა თამარ ალადაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტებსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გაწეული დახმარებისთვის და კონსულტაციებისთვის, იმ პერიოდიოს განმავლობაში, როდესაც იყო მოსამზადებელი ეტაპი სამი პროგრამის უფლების მოპოვებისთვის. მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდნენ მათი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც მზად იყვნენ დაინტერესების შემთხვევაში პასუხი გაეცათ ყველა კითხვისთვის.
დაწესებულების ხელმძღვანელმა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პირველი პროგრამა, პროფესიული გადამზადების პროგრამა, ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“. თამარ ალადაშვილმა ისაუბრა პროგრამის ძირითად მიზნებზე,პროგრამა განკუთვნილია სატყეო ან მომიჯნავე დარგში ბაკალავრის მქონე პირებისათვის და მიმართულია, როგორც ტყესთან დაკავშირებული საბაზისო ცოდნის განმტკიცების, ასევე, ტყის ინვენტარიზაციის და ტაქსაციის საველე პირობებში განხორციელებას და მიზნად ისახავს შესაბამისი საჭირო ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას. პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 12 კვირას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას, სადაც შედის საველე სწავლებაც. საველე სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის ფონდში, თეორიული სწავლება - გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში. თეორიული ნაწილის კვირეული საათობრივი დატვირთვა შეადგენს 12 საათს, ხოლო საველე სწავლების - 40 საათს. პროგრამის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება ორჯერ და გულისხმობს ზეპირ და წერილობით გამოკითხვას, ასევე პროექტის შესრულებას - ტყის მართვის გეგმის შედგენას. საბოლოო განმსაზღვრელი შეფასების დადასტურება კი წარმოადგენს სერტიფიკატის გაცემის წინაპირობას. თამარ ალადაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე კურსის გავლა იქნება მსმენელთათვის უფასო, რადგან ეს პროგრამა არის სახელმწიფო პრიორიტეტის პროგრამა და განეკუთვნება განსაკუთრებით დეფიციტურ პროფესიებს. შესაბამისად, ორგანიზაცია ხელს უწყობს დაინტერესებულ პირებს გაიარონ კურსი და შემდგომ უკვე დასაქმდნენ. პროგრამის შემუშავების საფუძველი არის საქართველოს ტყის კოდექსი, რომელიც მიუთითებს, რომ ტყეში უნდა შედიოდეს აუცილებლად სერტიფიცირებული პირი, ასევე საფუძველი არის ეროვნული სატყეო კონცეფციის დოკუმენტი და სასწავლო კურსი, რომელიც არაფორმალური განათლების

ხელშეწყობის გზით ხორციელდებოდა 2019 წლიდან, რომლის ბაზაზე და გამოცდილებაზე მოხდა ამ პროგრამის შემუშავება და უფლების მოპოვებაზე ცენტრისთვის წარდგენა. თამარ ალადაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა პროგრამის მნიშვნელობა და საჭიროება და ასევე ისიც, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან ეროვნულ სატყეო სააგენტოში, რადგან ისინი ყოველწლიურად უფრო მეტ კადრს ითხოვენ, რომლებიც იქნებიან სერტიფიცირებულნი და მცოდნენი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პროგრამის განმახორციელებელი გუნდის კვალიფიკაციის მაღალი დონეზე, მან აღნიშნა ისიც, რომ პროგრამა შემუშავებულია ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ერთად, რადგან პირველ რიგში სწორედ მათი საჭიროებიდან გამომდინარეა, რომ კურსდამთავრებულები იქნებიან დასაქმებულები.
ცენტრის დირექტორმა ასევე ისაუბრა სასწავლო რესურსზე, რომელიც არსებობს, როგორც ონლაინ ისე ბეჭდური წიგნები, კანონმდებლობა თუ სხვადასხვა ინტერნეტ მასალა. რაც შეეხება აუდიტორიას და ინვენტარს, აქვთ ორი სატრენინგო სივრცე, რომლის ფოტო მასალა იქნა წარმოდგენილი, ასევე წარმოდგენილ იქნა ინვენტარი, რომელიც საჭიროა საველე სამუშაოების დროს. მან ასევე ისაუბრა პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა მეთოდზე.

ქალბატონი თამარ ალადაშვილი პირველი პროგრამის პრეზენტაციის შემდგომ გადავიდა მეორე პროგრამაზე, ,,გარემოსდაცვითი მმართველი“. მან ისაუბრა პროგრამის საჭიროების შესახებ და აღნიშნა, რომ არსებობს საქართველოს კანონი - ,,ნარჩენების მართვის კოდექსი“ და მისი მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ვალდებულების შესაბამისად, რომელიც ამოქმედდა 2016 წლის 1 თებერვლიდან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო, 1000 ტონაზე მეტი ინერტული ან 120 კგ სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება, ეკისრებათ ვალდებულება ჰყავდეთ ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი კადრი, გარემოსდაცვითი მმართველი. მან ასევე აღნიშნა, რომ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი არაფორმალური განათლების ფარგლებში 2015 წლიდან ახორციელებს გარემოსდაცვითი მმართველის სასწავლო კურსს. ვინაიდან, 2016 წლიდან ნარჩენების მართვის კოდექსის შექმნამ სხვადასხვა იურიდიულ პირებს გაუჩინა კვალიფიცირებული კადრის საჭიროება, აღნიშნული კურსი მოემსახურება, სწორედ დაკისრებული ვალდებულების მქონე კომპანიებს, სადაც დასაქმებული გარემოსდაცვით მმართველები უფრო დეტალურად შეისწავლიან ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით დადგენილი ვალდებულებებს. აღნიშნული სასწავლო კურსი უზრუნველჰყოფს მონაწილეების ცოდნის გაზრდას და კვალიფიკაციის ამაღლებას აღნიშნული მიმართულებით. ასევე, მათ გააცნობს საკანონმდებლო მოთხოვნებსა და მიმდინარე პერიოდში არსებულ ცვლილებებს, რაც სამომავლოდ მონაწილეს მისცემს მარტივად ორიენტაციისა და ნარჩენების გეგმების მართებულად განხორციელების საშუალებას.
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ შემუშავებული ,,გარემოსდაცვითი მმართველის“ კურსი განკუთვნილია ნებისმიერი მსურველისთვის, ვისაც სურს დეტალურად შეისწავლოს ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით გაწერილი გარემოსდაცვითი მმართველის პასუხისმგებლობები და საჭირო უნარები. კურსი ასევე განკუთვნილია იმ ფიზიკური და იურიდიული პირების თანამშრომლებისთვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან ისეთ კომპანიებსა თუ საწარმოებში, რომელთაც წარმოექმნებათ სხვადასხვა ტიპის ნარჩენი და კოდექსი ავალდებულებს ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას. კურსს გაუძღვებიან, როგორც საჯარო სექტორში დასაქმებული მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალები, ასევე კერძო სექტორში მომუშავე გარემოსდაცვითი ექსპერტები. გარემოსდაცვითი მმართველის ვალდებულებების უკეთ გაცნობისათვის მონაწილეები გაივლიან ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა ნარჩენების მართვის კოდექსი და მისგან გამომდინარე ვალდებულებები, ინსპექტირების პროცედურები და კანონაღსრულება. პროგრამის ჩატარების ადგილი, როგორც პრეზენტატორმა

აღნიშნა, თეორიული სწავლებისთვის არის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, ხოლო პრაქტიკის ნაწილი არის პარტნიორი ორგანიზაციები, მაგალითად რუსთავის - აზოტის ქარხანა. კურსის ღირებულება ამ პროგრამისთვის არის-700 ლარი. თამარ ალადაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა პროგრამის საჭიროება, არ არის კვალიფიციური კადრი და მოთხოვნილია აღნიშნული სპეციალისტები კანონმდებლობით, ეს კი კურსდამთავრებულების დასაქმების წინაპირობა იქნება. მან ასევე ისაუბრა განმახორციელებელ პირებზე და პარტნიორ ორგანიზაციებზე, რომლებიცაა ,,რუსთვის აზოტი" და ,,პეტროლიუმ ჯორჯია", სადაც განხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობები. მან სასწავლო რესურსზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ხელმისაწვდომი იქნება ნებისნიერი მსმენელისთვის. შემდეგ წარმოადგინა ფოტო მასალა, როგორც სატრენინგო ისე საპრაქტიკო ფართების. მან აღნიშნა, რომ ცენტრის მხრიდან ინფორმაციის გავრცელება ხდება სოციალური ქსელებისა და გარემოს საინფორმაციო სააგენტოს მეშვეობით. ასევე ინფორმაცია დაეგზავნება იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც კანონმდებლობით უნდა ჰყავდეთ გარემოსდაცვითი მმართველი.

შემდეგ თამარ ალადაშვილმა წარმოადგინა მესამე პროგრამა, პროფესიული მომზადების პროგრამა - ,,სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა". მან ისაუბრა პროგრამის მიზანზე და საჭიროებაზე და აღნიშნა, რომ პროგრამის ზოგადი მიზანია, მსმენელმა შეძლოს აგრო-ეკოლოგიური ზონების ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრით, ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, შერჩეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებისთვის (მემცენარეობასა და მეცხოველეობაში) კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობისა და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა. მან აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვის პროფესიული მომზადების პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას მისი მიზნების მიღწევის თვალსაზრისით, ვინაიდან, პროგრამით გათვალისწინებული სალექციო კურსის საკითხები თანხვედრაშია სოფლის მეურნეობის სექტორში დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარებასთან. ასევე ისაუბრა იმაზე, რომ პროგრამის სასწავლო კურსი შემუშავებულია და მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ბაზაზე პროექტის საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზების მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებული პროექტის ,,საქართველოს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზება (მეორე ფაზა)"-ის ფარგლებში.
პროგრამის დაშვების წინაპირობაა საშუალო განათლება. სწავლება წარმართული იქნება მთლიანად გარემოსდაცვით ინფორმაციისა და განათლების. პროგრამა იქნება მსმენელისთვის უფასო. აღნიშნა, რომ საქართველოში არის პირველი პროგრამა მას ანალოგი არ აქვს და ასევე ის ქვეყანაში არის პრიორიტეტული მიმართულება. პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესებდა პროგრამები თუ უფასოა მსმენელებისთვის დაფინანსებას ვისგან ღებულობდნენ, რაზეც დაწესებულების პასუხი იყო, რომ სახელმწიფო დაფინანსებას გულისხმობდა. მარიკა ზაქარეიშვილმა ურჩია დაწესებულებას, რომ მესამე პროგრამისთვის ,,გარემოსდაცვითი მმართველი", ასევე შეეძლოთ მინიმუმ ნახევარი დაფინანსების მოთხოვნა სახელმწიფოსგან და დანარჩენს მსმენელი გადაიხდიდა, ეს უფრო მეტად მოთხოვნადს გახდიდა პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ,,გარემოსდაცვით მმართველზე“ მოთხოვნა რომ არის ცხადია, რადგან პირველ რიგში კანონმა გააჩინა მასზე მოთხოვნა, რაც შეეხება ,,ტყის ინვენტარიზაციას და ტაქსაციას“, გასაგებია მისი დასაქმების სფეროც და ისიც. რომ ცენტრშივე მოხდება კურსდამთავრებულების დასაქმება, ხოლო ,,სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა“, აქ შეიძლება იყოს თვთდასაქმების შესაძლებლობა, თუმცა საინტერესოა ცენტრის მოლოდინი, თუ სად დასაქმდენიან ან მოთხოვნა სად ჩანს აღნიშნულ პროფესიაზე. ცენტრის დირექტორმა თამარ ალადაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ამ ეტაპზე არ არის მოთხოვნა იმიტომ, რომ არ არის ჯერ ეს კურსი საქართველოში ჩატარებული, თუმცა მიმართულება არის ქვეყანაში პრორიტეტული, პირველ რიგში კი კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოში. სააგენტოს რეგიონებში აქვს საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრები, მის თანამშრომლებს კი ეწოდებათ ექსტენციონისტები, რომლებიც ფერმერებს აწვდიან ინფორმაციას სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. ასევე აღნიშნა, რომ სამინისტროსთან ერთად გეგმავენ, რომ ექსტენციონისტებისათვის სავალდებულო იყოს აღნიშნული პროგრამის კურსის გავლა.
საბჭოს წევრს, ნიკოლოზ მესხიშვილს აინტერესებდა რამდენად იყო მორგებული აღნიშნული პროგრამები სსსმ და შშმ პირებზე. ქალბატონმა თამარ ალადაშვილმა უპასუხა, რომ პირველ რიგში ცენტრის შენობა სრულად ადაპტირებულია და მისაღებია ნებისმიერი შშმ პირისთვის, ასევე მიდგომებიც შესაბამისია დანერგილი ცენტრის მხრიდან. პროგრამებზე: ,,სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა“ და ,,გარემოსდაცვითი მმართველი“ სრულიად შესაძლებელია სსსმ პირების ჩართულობა, ტრენინგის გავლა და შემდგომ დასაქმება, რაც შეეხება ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაციას“ პროგრამის თეორიული ნაწილი სრულიად შესაძლებელია, რომ გაიაროს სსსმ პირმა თუმცა პრაქტიკული ნაწილი, მძიმე ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, პრაქტიკული გასვლებს პროცესში და შესაბამისად ეს ნაკლებადაა შესაძლებელი შშმ პირებისთის.

ექსპერტმა კობა სილაგაძემ - აღნიშნა, რომ ,,ტყის ინვენტარიზაციის და ტაქსაციის“ პროგრამა არის მაღალ დონეზე შესრულებული და ყველაფერი რაც საჭიროა ასახულია.
საბჭოს თავმჯდომარემ - მადლობა გადაუხადა ცენტრის დირექტორს და ასევე ექსპერტებს, რომლებმაც მოამზადეს აღნიშნული პროგრამების დასკვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის /01405/ ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ს/კ: 206351730) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია /01405/ **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის /01423/ ,,გარემოსდაცვითი მმართველი" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ს/კ: 206351730) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - გარემოსდაცვითი მმართველი /01423/ **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის /01424/ ,,სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ს/კ: 206351730) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა /01424/ **(დანართი 3).**

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა თორნიკე თოხაძემ.

4. სსიპ კოლეჯი ,,იბერიას" /01443/ ,,ფარმაცევტის თანაშემწე" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა წარედგინა პროგრამა და ყურადღება გაემახვილებინა მნიშვნელოვან საკითხებზე, ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე.
საკითხი სხდომაზე წარადგინა დასწესებულების დირექტორმა ირაკლი ავალიანმა. მან ისაუბრა სსიპ კოლეჯი ,,იბერიის“ შესახებ და აღნიშნა, რომ ისინი ახორციელებენ 17 პროფესიულ გრძელვადიან პროგრამას და 20-მდე მოკლევადიან პროგრამას. რაც შეეხება ,,ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამას, მან აღნიშნა, რომ ეთანხმებიან ექსპერტს და მისი სახელი დაკორექტირდება. პროგრამა მოიცავს 285 საათს, მიმდინარეობს 15 კვირის განმავლობაში და არის მეხუთე დონის პროგრამა. დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება და XII-XIV კვირა მიმდინარეობს ზოგადი პრაქტიკა აფთიაქში. მან ასევე ისაუბრა, რომ პროგრამის შემუშავების პერიოდში, ჩატარდა კვლევა პროგრამის - „ფარმაცევტის თანაშემწის“ განხორციელების მიზანშეწონილობაზე. კვლევის მიზანი იყო ჩართული მხარეები, თუ რამდენად იყვნენ მზად თანამშრომლობისათვის და ჰქონდათ თუ არა პოტენციური შესაძლებლობა პროგრამაში ჩართვისათვის /კვალიფიციური კადრი/ ინფრასტრუქტურა. კვლევაში მიიღო მონაწილება ოთხმა დამსაქმებელმა, შეთავაზებული სხვადასხვა მომზადების პროგრამებიდან შერჩეულ იქნა ფარმაცევტის თანაშემწე - 100%, ჩართულობის სურვილი გამოთქვა - 100%; ინფრასტრუქტურა აქვს მაღალი- 50%; საშუალოზე მაღალი - 50%; კვალიფიციური კადრი ჰყავს - 100%; პრაქტიკანტის მიმღებლობა მაღალი- 25%;საშუალოზე მაღალი - 75%. ასევე გამოიკითხა ბენეფიციარები და ჩატარდა ბაზრის კვლევა 25 რესპოდენტის მონაწილეობით. თითქმის ყველა რესპოდენტისთვის მისაღები და სასურველია ფარმაცევტის თანაშემწის განხორციელება, რადგან რეგიონში სიმცირეა სპეციალისტების. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.
ასევე აღნიშნა, რომპროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. კოლეჯს ჰყავს ორი პარტნიორი: შპს ,,ჯანი" და ფარმაცევტული კომპანია ,,იმპექსფარმი", რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიხედვით, პარტნიორი კომანია უზრუნველყოფს სსიპ კოლეჯ ,,იბერიის“ ფარმაცევტის თანაშემწის“ სპეციალობის მსმენელების პრაქტიკა/სტაჟირებას მის კუთვნილ აფთიაქში მხარეთა მიერ შეთანხმებული სასწავლო პროგრამით. ასევე უზრუნველყოს მსმენელების მიღება აფთიაქში სტაჟიორად/პრაქტიკანტად და პროგრამის კურსდამთავრებულთა თანამშრომლობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების შემდგომი განვითარების საკითხებზე. ბატონმა ირაკლიმ პრეზენტაციაში ფოტო მასალაც წადმოადგინა მათი პარტნიორი ორგანიზაციების ფართიდან და ასევე ისაუბრა პროგრამის შემდგენელი გუნდის შესახებ, მადლობა გადაუხადა მათ და აღნიშნა, რომ ხარვეზები და რეკომენდაციები რაც მიღეს ექსპერტების მხრიდან იზიარებენ და გამოასწორებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ ირაკლის და ექსპერტს სთხოვა ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე ესაუბრა.
ექსპერტმა მზია ბაკურაძემ წარმოადგინა პროგრამის ხარვეზები:

1.2 ქვესტანდარტი - პროგრამის სახელწოდება დახარვეზდა, რადგან ,,ფარმაცევტის თანაშემე“ არის საკვალიფიკლაციო პროგრამის სახელწოდება და მოკლევადიანი პროგრამა არ უნდა იმეორებდეს საკვალიფიკაციო პროგრამის სახელწოდებას, რათა მისი დასაქმების არეალი არ იყოს მსმენელისთვის შეცდომაში შემყვანი. რეკომენდირებულია დაწესებულებამ მომზადების პროგრამის სახელწოდება შეცვალოს და ჩამოაყალიბოს სხვა სახელწოდებით (მაგალითად, ,,ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის კონსულტანტი“).

1.6 ქვესტანდარტი - სწავლის თემტიკის ნაწილი არ არის თანხვედრაში სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგები უნდა გამსხვილეს და შესაბამისად, სრულად იყოს მოყვანილი შესაბამისობაში სწავლის თემატიკასთან.

გაიცა შემდეგი **რეკომენდაციები:**

1.9 ქვესტანდარტი - სასურველია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმს დაერთოს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე, გაიწეროს დამატებით პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებებში, რეალურ გარემოში უზრუნველყოს პროფესიული მსმენელის და პროფესიული განათლების მასწავლებლის დაშვება კომპანიის ტერიტორიაზე, პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ფარმაცევტის თანაშემწის” მიზნით და უზრუნველყოს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობა, რომელიც პროგრამითაა განსაზღვრული; უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა და პრაქტიკის დაწყებამდე გააცნოს პროფესიულ მსმენელს შრომის დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ნორმები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააფორმოს ხელშეკრულება შპს „იმპექსფარმა’’ და შპს..ჯანი ‘’-სთან.

2.1 ქვესტანდარტი - სასურველია პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულ წინარე შრომით ხელშეკრულებაში მიეთითოს კონკრეტულად რომელი სწავლის შედეგებს განახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სახელი ,,ფარმაცევტის თანაშემწე“ არის საკვალიფიოკაციო პროგრამის სახელწოდება და მოკლევადიანი პროგრამა არ უნდა იმეორებდეს იგივე სახელწოდებას. აქედან გამომდინარე ექსპერტებმა რეკომენდირებულად მიიჩნიეს სახელი ყოფილიყო სხვა, რადგან შემდეგ შრომის ბაზარისთვის დამაბნეველი არ ყოფილიყო და არ გონებოდათ საკვალიფიკაციო პროგრამა. ამიტომ შესთავაზეს პროგრამისთვის სახელი, მაგალითად:,,ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის კონსულტანტი“. ასევე ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის სწავლის შედეგების შემცირებაზე და თემატიკის ისე შეცვლაზე, რომ მომხდარიყო სათაურისა და სწავლის შედეგების თანხვედრა.

საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ ექსპერტს დაუსვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ თემატიკა და სწავლის შედეგები შეიცვლება, იქნება თუ არა ისევ რეგულირებადი პროფესია. აღნიშნულ კითხვაზე ექსპერტმა უპასუხა, რომ შეცვლილი პროგრამა იქნება ისევ რეგულირებადი, რადგან სფერო არის იგივე და კვალიფიკაციების ჩარჩოს ვერ გაცდებიან. აქედან გამომდინარე იქნება ისევ რეგულირებადი პროფესია და მაინც მოუწევს ჯანდაცვს სამინისტროსგან თანხმობის წერილის მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ მადლობა გადაუხადა წარმდგენებს და მოითხოვა სათათბირო დროის გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ კოლეჯი "იბერიას" /01443/ ,,ფარმაცევტის თანაშემწე“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ: 212682051) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფარმაცევტის თანაშემწე /01443/.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა ბევრი იმსჯელეს პროგრამაზე, ხარვეზებზე, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ამ ხარვეზების გამოსწორება ერთის თვის ვადაში, მაგრამ რადგან პროგრამის სახელის ცვლილება იწვევს პროგრამის ძირეულ შეცვლას ფაქტიურად და საუბარია ახალ პროგრამაზე, საბჭოს წევრებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა დაამატა, რომ კარგი პრეზენტაცია წარმოადგინა დაწესებულებამ, მნიშვნელოვანი პროგრამაა, მაგრამ როცა საუბარია იმაზე, რომ პროგრამა უთანაბრდება საკვალიფიკაციო პროგრამას, ასეთ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო. რეკომენდირებულად მიიჩნია, დაწესებულებამ გადამზადების პროგრამაზე იფიქროს მომავალში უფრო, რადგან უკვე დასაქმებულების გადამზადება მოხდება და ასევე ურჩია დაწესებულებას, სანამ პროგრამას შემოიტანენ, მანამდე მოიპოვონ ჯანდაცვის სამინისტროს თანხმობა პროგრამის განხორციელებაზე.

5. სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის" /01414/ ,,სასოფლო სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი (T კატეგორია)" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა წარედგინა პროგრამა.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა დარეჯან ჭელიძემ. მან ისაუბრა პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამა არის 6 კვირიანი,დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება, პროგრამის მსმენელის რაოდენობა მინიმუმ-5, მაქსიმუმ-10. პროგრამა უზრუნველჰყოფს როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ სწავლებას, შესაბამისად მოიცავს A, B და C გარემოს. აღნიშნა, რომ კოლეჯმა პროფესიული მომზადების პროგრამა ,,სასოფლო სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი (Tკატეგორია)" წარმოადგინა რაჭა, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, სოფლის მეურნეობის მცირე მექანიზაციის სფეროში, ფერმერული მეურნეობების და კერძო კომპანიების ეკონომიკური პოტენციალის და მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების

მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრის კვლევის შედეგების შესაბამისად. კვლევა ჩატარდა პროექტის „რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში სოფლის მექანიზაციის სფეროში პროფესიული უნარების განვითარება და გაძლიერება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებდა ფონდი აფხაზინტერკონტი, გაეროს განვითარების ფონდის UNDP ფინასური ხელშეწყობით, პროექტის პარტნიორი იყო ამბროლაურში მოქმედი სსიპ კოლეჯი „ერქვანი“.
განხორციელდა სოფლის მექანიზაციის სფეროში ეკონომიკური პოტენციალის და მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების მოთხოვნადი პროგრამების განსაზღვრის კვლევა, რაჭის – ლეჩხუმის რეგიონის კერძო სექტორში. ორგანიზაციებმა, ასევე გაანალიზეს და შეაფასეს არსებული და პოტენციური ადამიანური რესურსი, ასევე როგორც ბიზნეს საინვესტიციო გარემო მექანიზაციის მომსახურების სფეროში. კვლევის სამიზნე არეალს წარმოადგენდა რეგიონის სამი მუნიციპალიტეტის ამბროლაური, ონი და ცაგერი, სადაც უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მევენახეობის და მეკარტოფილეობის წარმოების პოტენციალი. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური
კადრი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით, რომელსაც ეცოდინება ტრაქტორების კლასიფიკაცია, ტრაქტორების ძირითადი და დამხმარე ნაწილების დანიშნულება და შეეძლება მათი იდენტიფიცირება, ტრაქტორების ექსპლოატაციისა და ტექმომსახურების დროს დაიცავს უსაფრთხოების წესებს, შეეძლება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი თვლიანი ტრაქტორის მართვა საგზაო მოძრაობის წესების დაცვით.
საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ სიტყვა მისცა დარგის ექსპერტს იულონ გობეჯიშვილს. მან ისაუბრა იმ ჩატარებული კვლევების შესახებ რეგიონში, რომელიც ადასტურებდა პროგრამის საჭიროებას და დასაქმების მაღალ მაჩვენებელს.
მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია:
1.6 ქვესტანდარტი: პროგრამის თემატიკაში, რამდენიმე ადგილზე გაპარულია ტექნიკური უზუსტობები, რეკომენდირებულია ტექნიკური ხარვეზების გასწორება;
1.7 ქვესტანდარტი რეკომენდირებულია ტრაქტორის ტარების სწავლების არეალის გაზრდა საველე პირობების გათვალისწინებით;
2.3 ქვესტანდარტი რეკომენდირებულია სასწავლო ლიტერატურის გაზრდა (მითითებული ლიტერატურით).
საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ დასვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად რეალისტურია მოკლევადიანი პროგრამით მექანიზატორის მომზადება. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამა T კატეგორიის მართვის მოწმობის მიღებაზეა ორიენტირებული. პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ამას და არა მექანიზატორის კვალიფიკაციის მიღებას, შესაბამისად სრულიად საკმარისია მოკლევადიანი პროგრამა ამისთვის.
ბოლოს ექსპერტმა წარმოადგინა ფოტომასალა სასწავლო გარემოებისა და ინვენტარის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა წარმდგენებს და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის'' /01414/ ,,სასოფლო სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი (T კატეგორია)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,
სსიპ კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სასოფლო სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი (T კატეგორია) /01414/ **(დანართი 4).**

საბჭოს სხდომა დასრულდა 15:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01405	ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	12	ქართული	21	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01423	გარემოსდაცვითი მმართველი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	4	ქართული	25	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01424	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა	პროფესიული მომზადება	მეხუთე	6	ქართული	25	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6

დანართი 4

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01414	სასოფლო სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი (T კატეგორია)	პროფესიული მომზადება	მესამე	6	ქართული	10	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10